

TECHNICAL SPECIFICATIONS AND PARAMETERS OF INFORMATION SIGNS

ტენდერის ნომერი: 062/RECC/G/GIZ - 2023-EA-4.3

ხელშეკრულების სათაური: სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის საგზაო საინფორმაციო ნიშნების, ასევე საინფორმაციო დაფის დიზაინის, დამზადების და მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა

ხელშეკრულების სახე: ჰონორარზე დაფუძნებული

პროგრამის/პროექტის ნომერი: ბიოსფერული რეზერვატები, როგორც მდგრადი განვითარების მოდელი რეგიონები - შესაძლებლობების განვითარება საქართველოში სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის კოორდინირებული და ეფექტური მართვისთვის (GIZ პროექტის ID: 81298302 / პროექტის სიმბოლო: 062/RECC/G/GIZ - 2023-EA)

დაწყების თარიღი: 28 თებერვალი, 2025 **დასრულების თარიღი:** 9 მაისი 2025

ანგარიშვალდებულია:	REC	Caucasus-ის	აღმასრულებელი
სოფიკო ახოზაძესთან			დირექტორი

1. საქონლის რაოდენობა

კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს 5 საგზაო-საინფორმაციო დაფისა და 1 საინფორმაციო დაფის დიზაინი, პროექტის შესაბამის უწყებებთან შეთანხმების შემდეგ დაამონტაჟოს ისინი შერჩეულ ტერიტორიებზე.

2. საგზაო-საინფორმაციო დაფების ტექნიკური პარამეტრები

2.1. დაფების ზომა:

- სიგანე დაახლოებით (დამოკიდებულია დიზაინზე): 150-200 სმ;
- სიმაღლე დაახლოებით (დამოკიდებულია დიზაინზე): 100-120 სმ;

2.2. დიზაინის ელემენტები:

- ყავისფერი შუქგამფილტრი ფირი, ყავისფერი ფერის კოდი RAL8003;
- შუქამრეკლი და შუქგამფილტრი ფირები უნდა აკმაყოფილებდეს EN-12889 სტანდარტის მეორე კლასის მოთხოვნებს. ფირების ფუნქციონალური ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 10 წელი.
- ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ბიოსფერული რეზერვატის ლოგო შესაბამის პოზიციაზე განთავსებული;
- დიდი, მუქი ფონტი მაღალი ხილვადობისთვის.

2.3. გამოსაყენებელი მასალა:

- მანიშნებელი აბრები დამზადებული უნდა იყოს 1.5 მმ სისქის მოთუთიებული (გალვანიზებული) ფოლადისგან, დაფარული მაღალი ინტენსივობის პრიზმული HIP შუქამრეკლი და ყავისფერი შუქგამფილტრი ფირით. სიხისტისთვის ნიშანს შემორტყმული უნდა ჰქონდეს ალუმინის ჩარჩო. ნიშნის ყველა დეტალი უნდა იყოს უჟანგავი;

2.4. სამონტაჟო სამუშაოები:

- სამუშაოების განხორციელების პირველ ეტაპზე საჭიროა პროექტში არსებული GPX ფაილების მიხედვით განისაზღვროს საგზაო მანიშნებლების დაყენების ზუსტი ადგილმდებარეობა;
- ნიშნის აწყობა და დამაგრება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს ნიშნის ზედაპირის ხვრეტა, დეფორმირება და კოროზირება;
- აბრები უნდა დამონტაჟდეს მოთუთიებული ფოლადის არა ნაკლებ 0.76 მმ დიამეტრის ბოძებზე. ბოძების თავი უნდა იყოს დახშული ხუფით, რათა არ მოხდეს მასში წყლის ჩადინება;
- თითოეული აბრა უნდა დამონტაჟდეს ორ ბოძზე ორივე მხარეს;
- საინფორმაციო დაფების მოწყობა უნდა განხორციელდეს საავტომობილო გზის, ტროტუარის, გვერდულის და კიუბეტს მიღმა, გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.
- საინფორმაციო დაფების განთავსებისათვის ზუსტი წერტილის აღებას და სამონტაჟო სამუშაოების წარმოებას ადგილზე აუცილებელია დაესწროს ობიექტის მეპატრონე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი/გზების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი კომპანიის წარმომადგენელი;
- დაფები უნდა განთავსდეს ისე, რომ არ მოხდეს არსებული საგზაო ნიშნების დაფარვა და ხილვადობის შეზღუდვა;
- სამუშაოების წარმოების პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე, გვერდულზე და გზის შემადგენელ ელემენტებზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო დარჩენების დაყრა და სხვა;
- აუცილებელია აღნიშნული ნორმების სრული დაცვა მოხდეს ცენტრალურ და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალზე, ასევე მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სოფლის გამავალ გზებზე მანიშნებლების მონტაჟისას.

3. საინფორმაციო დაფის პარამეტრები

- ზომები: 100 სმ × 90 სმ

Annex 1

- მასალა: ალუმინის კომპოზიტური პანელი, სისქე 4 მმ
- ბეჭდვა: UV ტექნოლოგიით, გარჩევადობა მინიმუმ 1440 dpi
- დამცავი ფენა: UV-გამძლე ლამინაცია
- წყალგამძლე და ანტივანდალური შესრულება

2. კონსტრუქციული ელემენტები

- ორი ვერტიკალური მეტალის დგარი (გალვანიზებული)
- დგარების დიამეტრი: 76 მმ
- დგარების სიმაღლე: 180 სმ (90 სმ მიწის ზემოთ)

3. მონტაჟი

- ფუნდამენტის მოწყობა (80 სმ სიღრმეზე)
- დაფის დამაგრება დგარებზე
- ელექტროგაყვანილობის მოწყობა
- ტერიტორიის დასუფთავება მონტაჟის შემდეგ

4. დიზაინი და შინაარსი

სურათი 1. საინფორმაციო დაფის მონახაზი



- ორენოვანი (ქართული, ინგლისური) დიზაინის შექმნა დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად;

- მაღალი ხარისხის რუკის მომზადება;
- ფოტომასალის დამუშავება;
- ტექსტების კორექტირება;

4. კონტრაქტორის ვალდებულებები

- მანიშნებლების დამზადება-დამონტაჟებამდე, შემსრულებელი ვალდებულია გააკეთოს პროექტის ინსპექტირება და აცნობოს დამკვეთს საჭიროების შემთხვევაში პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ, რათა დროულად მოხდეს ხარვეზების გამოსწორება სამუშაოების წარმოების დროში შეფერხების გარეშე;
- დგარების სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას კომპანია ვალდებულია დაფების არსებული დიზაინი და მათზე დატანილი დასახელებები გადაამოწმოს მეპატრონესთან.
- დამზადება შემსრულებლის საწარმოო ბაზაზე;
- ტრანსპორტირება მონტაჟის ადგილამდე;
- მონტაჟი შეთანხმებულ ლოკაციაზე.

დამკვეთი ვალდებულია:

- მოამზადოს საინფორმაციო დაფის ორენოვანი შინაარსი;
- განახორციელოს საგზაო-საინფორმაციო დაფებისა და საინფორმაციო დაფის განთავსების მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურთან, საგზაო დეპარტამენტისა და საპატრულოსთან, პროექტის შეთანხმება და ნებართვის მისაღებად ადმინისტრაციული საქმისწარმოება.